აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №12

21/08/2024 **ქ. ბათუმი**

კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ო” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ” უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №3 დადგენილების საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმა დანართის შესაბამისად.

2. დაევალოთ:

1. საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილებას (გ. რიჟვაძე) ამ განკარგულების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისთვის გაცნობა;

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების უსკოს ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ” უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №3 დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე
კომისიის მდივანი